


არჩილ ხოფერია რუს ოკუპანტებთან საბრძოლველად უკრაინაში წავიდა



უკრაინაში დაღუპული ქართველი მებრძოლის, ჯამბულ ხოფერიას მამა არჩილ ხოფერია, უკრაინაში რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად წავიდა.

როგორც აფხაზეთის ომში, მისი თანამებრძოლი, ოზურგეთელი არსენ გობრონიძე ამბობს, იგი არჩილ-ხოფერიასთან ერთად უკრაინაში საბრძოლველად წასვლას გეგმავდა. არჩილ ხოფერიას მისთვის უთქვამს, „მე უკრაინელების გვერდით ვიბრძოლებ და არც არაფერი დამხრია დასაკარგი, შენ კი ოჯახი გყავს, შვილები, თავს გაუფრთხილდი“.

არჩილ ხოფერია უკრაინაში ჩავიდა და ამჟამად სამხედრო წვრთნას გადის.

წინა კვირაში არსენ გობრონიძე გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში გვესტუმრა და აფხაზეთის ომის შესახებ და ლეგენდარული მეთაურის შესახებ გვესაუბრა:

–1992 წელს, ომის დაწყებიდან



ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .
 ყოველკვირეული გამოცემა. № 2(10446) 30 იანვარი, 2023 წ. შპსი 80 თმთრ.

ოზურგეთში „ლაზიკა მედი“ აკადემია გაიხსნა



ალიონი სამედიცინო ცენტრმა „ლაზიკა მედი“ ოზურგეთში „ლაზიკამედის აკადემია“ გახსნა, რომელიც აუტისტური სპექტრისა და განვითარების სხვადასხვა ტიპის დარღვევის მქონე ბავშვებს მოემსახურება.

აკადემიის მიზანია ხელი შეუწყოს სხვადასხვა ტიპის დარღვევის მქონე ბავშვთა იმ უნარ-ჩვევების განვითარებასა და სრულყოფას, რომელიც მომავალში დაეხმარება მათ სოციალურ გარემოში საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში, დამოუკიდებლად ფუნქციონირებასა და ინტეგრაციაში.

„ლაზიკამედის აკადემიაში“ შესაძლებელია სხვადასხვა მიმსახურების მიღება, მათ შორის: ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის კონსულტაცია, აუტისტის დიაგნოსტიკა, მეტყველების თერაპია, ქცევის თერაპია, აკადემიური უნარების განვითარება, სენსორული თერაპია. ამ ეტაპზე დაწესებულებას 100-მდე ბენეფიციარის მიღება შეუძლია. „ლაზიკამედის აკადემია“ დაკომპლექტებულია კვალიფიციური სპეციალისტებით, აღჭურვილია ყველა საჭირო

ინვენტარით. აკადემიაში არსებულ მულტიდისციპლინურ გუნდს სუპერვიზიას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ბავშვთა ადრული განვითარების აკადემია“ გაუწევს.

ცენტრის საზიოთო გახსნის ცერემონიას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **აეთანდლე თაღ-აკვაძე**, საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია**, გურიის გუბერნატორის მოადგილე **ქეთი მო-ისწრაფეშვილი** და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები დაესწრნენ. მოწვეული სტუმრები „ლაზიკა მედი“ აკადემიის“ საქმიანობას გაეცნენ და ასლადგანსნილი ცენტრი დაათვალიერეს.

ფოთში, „ლაზიკა მედი“ ბავშვ აუტისტური სპექტრისა და განვითარების სხვადასხვა ტიპის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის სპეციალური ცენტრის ფუნქციონირება გასული წლის მარტიდან დაიწყო. ამ დროისთვის ცენტრს 150-მდე ბენეფიციარი ჰყავს. სამედიცინო ცენტრი „ლაზიკა მედი“ ფოთში 2016 წელს გაიხსნა.

მორიბი პერფორმანსი ახალი ინტერპრეტაციით



ალიონი. გასულ სამშაბათს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუბულოს მორიგი სხდომა გაიმართა.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე „ქართული ოცნების“ დეპუტატმა **ქეთი ხომერიკმა** სიტყვა ითხოვა, ფოთიდან სათაშაო ტანკები ამოიღო და ნაციონალ დეპუტატებს მოუტანა.

– მე მინდა პატარა სათაშაო ტანკები გადავცე „ნაციონალებს“, საჩუქარი მაქვს ომის და მოღალატის პარტიისათვის. ისინი მაქსიმალურად ცდილობენ ომში ჩაითრიონ ჩვენი ქვეყანა, თუმცა, ამს ვერ შეძლებენ. არაკლი ღარიბაშვილის მეთაურობით ჩვენი ქვეყანა პროგრესზე, განვითარებაზე და მშველიდაზე ორიენტირე-

ბული... ეს მელია-კუდარბელის, ეს თქვენ (დავით მყავანაძეს და ბესო ქათამაძეს მიმართა) სხვა არაფერი დავრჩენათ, ერთმანეთში ომ გეხერხებათ მხოლოდ –თქვა ქეთი ხომერიკმა და სათაშაო ტანკები, თვითმფრინავები და სხვა სამხედრო ატრიბუტიკა გადასცა. მათ.

–აეობებდა ნამდვილი საბრძოლო ტექნიკით უკრაინას დახმარებით – იყო პასუხი.

სიტყვიერი შეხლა-შემოხლა და მელია-ხაბეიშვილი-მურაბიშვილის ფოტოების ფრიალი კარგა ხანს გაგრძელდა. იყო ურთიერთბრალდებები ნაციონალური წარსულის შესახებ და ა.შ.

სხდომის თავმჯდომარე **დავით დარჩიამ** შესვენება გამოაცხადა. სხდომაზე საკითხების განხ-

ილვა 50 წუთის დაგვიანებით დაიწყო.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ, **გიორგი ლურჯუშვილი** წარმოადგინა.

მან ისაუბრა ცვლილებაზე, რომ ბიუჯეტი შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში 28 მილიონ 477283 ლარით გაიზარდა. საბიუჯეტო სახსრების ნაშთმა კი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 19 მილიონ 238 970 ლარი შეადგინა.

– **ჯამში, ოზურგეთის ბიუჯეტი 63 მილიონითაა განსაზღვრული, რაც ისტორიული მაქსიმუმია, –** თქვა გიორგი ლურჯუშვილი.

სხდომის მეორე საკითხის –

2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების თემის განხილვას, დეპუტატ **თათია ნიკოლაშვილის**, რომელიც ხაბეიშვილის გუნდის წევრად მოიაზრება, კითხვები მოჰყვა.

–როგორ მოახერხეთ, რომ ბიუჯეტს 19 მილიონი ნაშთი გაქვთ. თქვენ კი ბოლო პერიოდში 2-ჯერ მოახერხეთ ხელფასების გაზრდა. უზოგართა სასაქონლო 180 ბენეფიციარი გყავთ და მათთვის 165 ათასი ლარია მხოლოდ გამოყოფილი.სოციალურად დაუცველი ადამიანები 70-80 თითოთი უნდა დაეკმაყოფილოთ და პირველ პირებს უზარმაზარი ხელფასები უნდა გქონდეთ?

მერის პირველმა მოადგილე **გიორგი ლურჯუშვილი** ნიკოლაშვილის სიტყვების ტირაჟირებაში დასდო ბრალი და შესაბამისი არგუმენტებიც დაასახელა.

დღის წესრიგის მომდევნო საკითხი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვის და სოციალური დახმარების გაცემის და მიღების წესის დამტკიცებას ეხებოდა.

მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის და სოციალური დაცვის განყოფილების უფროსმა **მაჩხერი ცვლაძემ** სხდომის მონაწილეებს გააცნო 20 პროგრამულ მუხლში მომხდარი ცვლილებები და მუხლობრივად გაზრდილი ბიუჯეტი.

მაჩხერი ცვლაძის გამოხვლას ყველამ ყურადღებით მოუსმინა,

მოლოდინი - საინტერესო, საჭირო ინფორმაციის მიღებისა, მიზანი - დაგეგმი სწორად; შედეგი - პიროვნული წარმატების გასაღები ...



პროექტის მიზანი, სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგონების ცნობიერების ამაღლება შინა მეურნეობებში, ბუნებრივი რესურსების მართვის, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებზე და სოციალურ პასუხისმგებლობის ამაღლების ხელშეწყობა.

პროექტი განხორციელდა „გურიის განვითარების კავშირის“ მიერ, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) პროექტის ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. სახელწოდება: საქართველოს კლიმატის პროგრამა (GEO-CAP): სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებაში.

თამარ კუპრაძე – პროექტის ხელმძღვანელი: „როცა ეკოლოგიასთან მიმართებაში გამოცხადდა კონკურსი, რა თქმა უნდა, ის ჩვენი

ორგანიზაციის მიზნის ნაწილი უნდა ყოფილიყო. რადგან ეკოლოგიაზე, გარემოზე ზრუნვა ოჯახიდან იწყება. გადაწყვეტილებაზე სენსიტიური თემა და ვგუფი შეგვეჩვენა. რატომ ქალები? შინამეურნეობაში ჩართული ქალები, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მოყვანით, ოჯახის წევრებსა თუ თემის სოციალურ იდეებზე პასუხისმგებლობას. ამასთან, ხშირად, ეს საქმიანობა, ხდება მათი ფინანსური კეთილდღეობის წყარო. ტრენინგებით, საინფორმაციო და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით, გვსურდა როგორც მათი წახალისება და წარმოჩენა. ასევე თემის პასუხისმგებლობის ამაღლება ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებზე“.

პროექტის პრეზენტაცია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, „ქალთა ოთახში“ გაიმართა. თემატიკიდან გამომდინარე, პრეზენტაციაზე დასწრების სურვილი მუნიციპალიტეტში მომუშავე მერიისა და საკრებულოს წევრმა ქალბატონებმაც გამოთქვეს.

მონაწილე მამალია (მანანა

მამალია), მერე, **ლანჩუთის მუნიციპალიტეტი**: – „პირველ რიგში, ჩვენ შევიძინეთ ადამიანები, შეიძლება ნაკლები გამოცდილების მქონენი, მაგრამ გულწრფელები. დღეს ჩვენთვის, სოფლის მეურნეობის განვითარება, უფრო რეალური და საჭირო გახდა. პროექტი დაგვეხმარება, ამ მიმართულებით დაწყებული საქმიანობის სწორად წარმართვასა და განვითარებაში“.

სალომე კალანდიაძე, (ფერმერი და ბლოგერი „ოდა-ში“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სოფელი ნიგოეთი): – „ინფორმაციული იყო ჩვენი შეხვედრები. მაღლობა ამ ძალიან მნიშვნელოვანია და შრომისთვის, საინტერესო და ორიენტირებული იდეებისთვის, პროექტის ორგანიზატორებს.“

სატიშვა ჩხაიძე, (მეფუტკე სოფელი ლესა): – „ჩვენ ვეძახებოდათ სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამიტომაც იყო ასეთი პროდუქტიული ეს პროექტი ჩვენი. საინტერესო ინფორმაციასთან ერთად, აქ შევიძინეთ მეგობრები და ჩვენ ერთმანეთს ვუზიარებთ ჩვენს გამოცდილებას.“

ლალი სიჭინავა, (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური): – „ბავშვები ხშირად ამბობენ, ჩვენ გვინდა ჩვენს მშობლებს ვასწავლოთ მეწარმეობის უნარ-ჩვევები, რომ ჩვენთან იყვნენ და სხვაგან არ წავიდნენ სამუშაოდ. მსგავსი პროექტები, ხელს შეუწყობს დასაქმებას და ოჯახების ფინანსურ მდგრადობას.“

შეხვედრის მეორე ნაწილში, პროექტის მონაწილეებს და სტუმრებს სერთიფიკატებთან ერთად, საჩუქრად გადაეცათ „ფერმერის

რეგული“, რომლის დიზაინერი, მხატვარი მიხეილ თავბერიძე გახლავთ. შინაარსი მომზადდა „გურიის განვითარების კავშირის“-ს მიერ, ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგის, სურსათისა და მცენარეთა დაცვის დიპლომატიკური ცენტრ „ანასულის“ რეკომენდაციებით. რეგულში საჭირო ინფორმაცია განთავსებული მიწის მფაფიანობის დადგენისა და შეცვლისთვის; მცენარეთა დაცვის საშუალებები – ბიოლოგიური და ეკოლოგიურად უსაფრთხო მინარევების გამოყენებით და ა.შ.

„ფერმერის რეგული“ იძლევა შესაძლებლობას, მეწარმის მიერ განხორციელებული ყველა აქტივობა გაწეროს დროისა და მიღებული შედეგის მითითებით.

სტატია მომზადდა კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN) ის პროექტის ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით; საქართველოს კლიმატის პროგრამა (GEO-CAP): სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებაში“.



ჩოხატაურში ხანძრის შედეგად დაზიანებული შენობის აღდგენა მიმდინარეობს



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა **დავით შარაშიძემ**, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებთან ერთად, 2022 წლის 26 აგვისტოს რუსთაველის ქუჩაზე ხანძრის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები მონაზულა.

კორპუსის სახურავი სრულად გადახურულია, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ფასადის მოპირკეთება. რეგიონული განვითარებისა და

ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერით სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის გამოყოფილია 195 000 ლარი.

აღნიშნული კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება.

დაგეგმილია სპორტული კომპლექსის - სტადიონისა და გასართობი სივრცის მოწყობა, რომელიც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდით დაფინანსდება.

„ბახვი ჰესის“ განათლების ხელშეწყობის პროგრამა და ბრანტის ბაცემის ჯეისი



„ბახვი ჰესის“ განათლების ხელშეწყობის პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სტუდენტების მხარდაჭერის პროგრამა. ის მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს და ფინანსური დახმარება გაუწიოს მთისპირისა და ჩხაკაურას საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებს, რომლებიც ჩაირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში **ჰიდროენერჯეტიკის, საინჟინრო ან გარემოსდაცვით სპეციალობებზე**. აღნიშნული პროგრამა 2022 წლიდან ამუშავდა.

„ბახვი ჰესის“ სტუდენტური გრანტით დაფინანსებით სოფელი მთისპირის მკვიდრი ჯაბა ბოლქვაძე სარგებლობს. მან 2022 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ენერჯეტიკის ფაკულტეტზე, ელექტრო ინჟინერიის განხორციელებაში ჩააბარა. ჯაბა მთისპირის საჯარო სკოლის მოსწავლე იყო. მან პროგრამის შესახებ ბახვი ჰესის ტრენინგ კურსის ფარგლებში მიიღო ინფორმაცია.

და კარგად ვიცით თუ რამდენად მნიშვნელოვანია თავიდანვე სწორად შეარჩიოს და დაგეგმოს აბიტურიენტმა საკუთარი მომავალი. ახალგაზრდებისთვის დახმარება განათლების მიღების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა რაც შეიძლება გავაკეთოთ მომავალი თაობისთვის. სწორედ ამიტომ, ბახვი ჰესის სოციალური პროექტების ნუსხაში საგანმანათლებლო პროექტებს პრიორიტეტული ადგილი უკავია. საგანმანათლებლო ტრენინგების პარალელურად, გვაქვს სტუდენტური გრანტების პროგრამაც, რომელიც სარგებლობის შესაძლებლობაც აქვთ მთისპირის თემისა და ჩხაკაურას სოფლების აბიტურიენტებს. თუმცა, არსებობს გარკვეული პირობა და წესი იმისა, თუ როგორ და ვის შეუძლია ამ გრანტის მოთხოვნა. მნიშვნელოვანი კომპონენტია, გრანტის შენარჩუნება, რაც პირდაპირპროპორციულად დამოკიდებულია სწავლების ხარისხზე და აკადემიურ მოსწრებაზე. ჩვენი გრანტის ფარგლებში, ჩვენ ვახალისებთ ე.წ. მომავლის

პროექტებს, როგორცაა გარემოსდაცვა, ინჟინერია და ენერჯეტიკის სფეროში არსებული პროექტები. მიგვაჩნია, რომ ამ სექტორში კვალიფიციური კადრების სერიოზული დეფიციტია ჩვენს ქვეყანაში, მეორეს მხრივ კი მოთხოვნა დღითიდღე იზრდება. ჩვენც, როგორც ჰიდროენერჯეტიკის სფეროში ჩართულ კომპანიას, გვჭირდება კვალიფიციური ადგილობრივი კადრები, ახალგაზრდა თაობა, რომელიც ამ ქვეყნის მომავალია“ – განაცხადა „ბახვი ჰესის“ დირექტორმა, **გიორგი აბრამიშვილმა**.

„ბახვი ჰესმა“ სასწავლო გრანტის მოპოვებაზე განცხადების მიღება დაიწყო 2022 წლის 1 ივლისიდან და პროექტი განხორციელდება მხოლოდ 2024 წლის ბოლომდე. დაინტერესებულ პირთათვის სასწავლო გრანტის გაცემის პირობების გაცნობის მიზნით, კომპანიას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სადაც დეტალურადაა გაწერილი გრანტის მოთხოვნები და პირობები. დოკუმენტის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ჩვენს ვებ-გვერდს www.cceh.ge

ბმული: https://cceh.ge/uploads/Scholarship_Policy_Bakhvi_12_HPPs.pdf **და ა ჯ ი ნ ა ნ ს ე ბ უ ლ ი ფ ა რ ი თ ი**

მისი სახელი სამუდამოდ ჩენთან ღარჩება

ღალი ასათიანის ხსოვნას



ჩვენს პედაგოგიურ საზოგადოებას გამოაკვდა კიდევ ერთი კარგი პედაგოგი - ღალი ასათიანი. მისი ღვაწლი ფასდაუდებელია მოსწავლეს ახალგაზრდების აღზრდის საქმეში.

ბაკველაზე დიდ ხანს მუშაობდა ბაილეთის საჯარო სკოლაში, დაწყებითი კლასების მასწავლებლად. სკოლაში გადმოსვლამდე იყო ბაილეთის საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი. მისი თავისი საქმის მცოდნე, განათლებული პედაგოგი, რომელსაც ხელეწიფებოდა ბავშვის სულიერ სამყაროში წვდომა, მათთვის სწავლის სიყვარულის გაღვივება და შრომისმოყვარეობის გამოქვეყნება. ის მოსწავლეებს მართო საგანს არ ასწავლიდა, იყო მათი მეგობარი, მზრუნველი, ყურადღებიანი დამეეტად თბილი მასწავლებელი. მოსწავლეები სკოლის დამთავრების შემდეგაც არ წვეტიდნენ საყვარელ მასწავლებელთან მეგობრობას. გამოირჩეოდა საუკეთესო ადამიანური თვისებებით. იყო კომუნიკაბელური და კარგი კოლეგა. შინაგანად ორგანიზებული და ენერჯიული მასწავლებელი. უმურველად უზიარებდა ყველას თავის პედაგოგიურ გამოცდილებას და ცოდნას.

ღალი ასათიანი იყო ადამიანი, რომელმაც იცხოვრა სიყვარულით. საუკეთესო მეგობარი, უმუალო და უბრალო, დაუზარელი და აქტიური პიროვნება, დიდი ოჯახის საუკეთესო დიასახლისი. გამორჩეული თავისი სტუმარ-თმოყვარეობით. გაჭირვებაში მყოფ-ათთვის მხარში დგომის უდალათო თვისებებით გამოირჩეოდა. საუკეთესო შვილები აღმზრდელი დედა და მეუღლე. ამიტომაც ყვევარდაყველას დიდს თუ პატარას.
მისი ხსოვნა მარად ღარჩება მისი აზრდობისა კოლეგების გულში.
ბაილეთის საჯარო სკოლის კელაგოგამი საქართველოს მინისტრის და თავის პედაგოგიური

სამედიკოსო კონცერტი ღანჩუთში ნიკა ჯაიანის ღასახმარებლად



30 იანვარს, 17:00 სთ.-ზე, ღანჩუთის კულტურის ცენტრში გაიმართება სამედიკოსო კონცერტი „ნიკოლშოუსა“ და ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით ნიკა ჯაიანის ღასახმარებლად.
კონცერტიდან შემოსული თანხა მილიანად მოხმარდება ნიკა ჯაიანის მკურნალობას.
ნიკას მსაჭიროება კვლის ტვიმის სასწრაფო ტრანსპლანტაცია. ღიაგონი: აპლუნიური ანემია.
52 000000162001902. საქართველოს ბანკი
558 0360000006668418 კრედიტ ბანკი
430 7867145068100021 თიბისი ბანკი
მიმღები: დედა - ნაზი ბაბაიძე
ბილეთის ღირებულება - 20 ღარი
ბილეთების შემენა შებიკლიათ ღანჩუთის კულტურის ცენტრში.
მისამართი: ქ. ღანჩუთი, შორღანიას ქ. №99.

ადამ ბერიძის სახელობის ნიდაგის, სურსათისა და მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასელი“ იუწყება ყოფილი თანამშრომლის, ერთგული მეგობრის ღამზირა რუსნიშვილი-ხურციძის გარდაცვალებას და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.

სკანვორდი

Grid for a crossword puzzle with clues and arrows. Includes a portrait of an elderly man.

პასუხები:

ღანჩუთი - ადგილი, სადა ვართ ჩვენ. ნიკოლშოუსი - კონცერტი. ღანჩუთის კულტურის ცენტრი - ადგილი, სადა იმართება კონცერტი. მკურნალობა - ღანჩუთის კულტურის ცენტრში.

